



დამტკიცებულია საქართველოს
სტატისტიკის ეროვნული სამსახურის
საბჭოს 2010 წლის 17 თებერვლის
№ 7 დადგენილებით

შინამეურნეობებზე დაკვირვება დასაქმებისა და შემოსავლების კითხვარი შინამეურნეობის 15 წლისა და უფროსი ასაკის წევრებისათვის

ინტერვიუს ჩატარების თარიღი	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
	რიცხვი	თვე	წელი
<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>
დაკვირვების უბანი	როტაცია	შინამეურნეობა	ინტერვიუს რიგითობა

რესპონდენტის სახელი	<input type="text"/>												
რესპონდენტის ნომერი შინდა 02-დან	<input type="text"/>												
რესპონდენტის საკონტაქტო ტელეფონი	<table border="1"> <tr> <td colspan="2">ქალაქის:</td> <td colspan="2">მობილური:</td> </tr> <tr> <td><input type="text"/></td> <td><input type="text"/></td> <td><input type="text"/></td> <td><input type="text"/></td> </tr> <tr> <td>(კოდი)</td> <td>(ნომერი)</td> <td>(კოდი)</td> <td>(ნომერი)</td> </tr> </table>	ქალაქის:		მობილური:		<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	(კოდი)	(ნომერი)	(კოდი)	(ნომერი)
ქალაქის:		მობილური:											
<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>	<input type="text"/>										
(კოდი)	(ნომერი)	(კოდი)	(ნომერი)										
ინტერვიუერი	<input type="text"/>												
ზედამხედველი	<input type="text"/>												
ლოგიკური კონტროლი	<input type="text"/>												

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური მონაცემი და სხვა ინფორმაცია, მათ შორის, კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაცია, "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაცული „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლით. ის გამოიყენება მხოლოდ კრებებითი სტატისტიკური მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის!

ნაწილი I. დასაქმება და შემოსავალი საქმიანობიდან

კითხვარის ამ ნაწილში გთხოვთ გვიპასუხოთ გასულ სამ თვეში თქვენი საქმიანობისა და შემოსავლების შესახებ.

- ასრულებდით თუ არა რაიმე სამუშაოს ხელფასის, მოგების ან სხვა შრომითი შემოსავლების (ფულადი ან ნატურის სახით, მათ შორის – სასოფლო-სამეურნეო მოსავლის და პროდუქტების) მისაღებად, გასული სამი თვის რომელიმე პერიოდში ქვეყნის ფარგლებს შიგნით?
 - დიახ → 4
 - არა → გააგრძელეთ
- ეწოდით თუ არა გასული სამი თვის რომელიმე პერიოდში ხელოსნობას, კერვას, მოწაველების მომზადებას (რეპეტიტორობას), საექიმო-სამკურნალო პრაქტიკას, სატრანსპორტო მომსახურებას და ა. შ. ქვეყნის ფარგლებს შიგნით?
 - დიახ → 4
 - არა → გააგრძელეთ
- გკონდათ თუ არა სამუშაო ან საქმე, რომელსაც გასულ სამ თვეში დროებით ვერ ასრულებდით ავადმყოფობის, შვებულებაში ყოფნის, სწავლის, წარმოების დროებითი გაჩერების ან სხვა მიზეზებით ქვეყნის ფარგლებს შიგნით?
 - დიახ → გააგრძელეთ
 - არა → 17

ა) ძირითადი საქმიანობა

ინტერვიუერს: თუ რესპონდენტი ერთზე მეტი სახის საქმიანობას ეწევა, კითხვა 4 დაუსვით იმ ძირითადი სამუშაოს შესახებ, სადაც ფაქტიურად მეტ დროს ხარჯავს. მე-4 და მე-5 კითხვები საჭიროა იმისთვის, რომ ზუსტად განისაზღვროს კონკრეტულად რა საქმიანობას ეწევა რესპონდენტი ძირითად სამუშაო ადგილზე. საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების დასახელება მხოლოდ ამ მაჩვენებლის დასაზუსტებლად გვესაჭიროება.

- რომელ საწარმოში, ორგანიზაციაში, კერძო საქმეში ან მეურნეობაში მუშაობდით (საქმიანობდით)?
 საწარმოს, ორგანიზაციის, კერძო საქმის, საკუთარი საქმის ან მეურნეობის დასახელება:
- გთხოვთ გვიპასუხოთ, იმ ძირითად სამუშაოზე, სადაც თქვენ საქმიანობდით გასულ სამ თვეში, რა სახის საქონელი ან მომსახურება იწარმოება?

ინტერვიუერს: გამოარკვეით ამ სამუშაოზე (საკუთარ საქმეში) კონკრეტულად რისი წარმოება, გადამამუშავება, საქონელის ან მომსახურების მიწოდება ხდება, მისი საწარმოს, სამსახურის, ან პირადად რესპონდენტის მიერ.

წარმოებული პროდუქციის, საქონლის ან მომსახურების დასახელება

საქმიანობის სახე (ივსება სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში)

- ვისი საკუთრებაა საწარმო, დაწესებულება, მეურნეობა ან საქმე, სადაც საქმიანობდით გასულ სამ თვეში?
 - სახელმწიფო საკუთრების (ორგანიზაცია/საწარმო, რომელშიც სახელმწიფოს წილი ნახევარზე მეტია და ყველა სახელმწიფო დაწესებულება);
 - კერძო საკუთრების (ნახევარზე მეტი წილით);
 - სხვა, დაასახელეთ _____
 - არ ვიცი
- დაასახელეთ რომელია გასულ სამ თვეში თქვენი დასაქმების სახე ქვემოთჩამოთვლილთაგან:

1. წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრულ ხელფასზე (ფულადი ან ნატურით) მომუშავე პირი	→ 8
2. საკუთარ საწარმოში მომუშავე მეწარმე, მეურნე (დაქირავებული მუშაკებით)	
3. არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დაქირავებული მუშახელის გარეშე საქმიანობა: საქონლის წარმოება, ვაჭრობა, სატრანსპორტო მომსახურება, მშენებლობა, ხელოსნობა, რემონტი; ან: პროფესიული საქმიანობა (რეპეტიტორობა, სამედიცინო დიაგნოსტიკა, კონსულტაციები და მკურნალობა, იურიდიული ან აუდიტორული მომსახურება, კერვა, პარიკმახერობა, სხვა მომსახურებები)	→ 10
4. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა საკუთარ მეურნეობაში ან იჯარით აღებულ მიწაზე ან მეცხოველეობა-მეფრინველეობის სახით (დაქირავებული მუშახელის გარეშე)	→ 11
5. ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისთვის შრომით საქმიანობაში უსასყიდლოდ მომუშავე;	
6. სხვა (დაასახელეთ) -----	→ 8

8. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი იყო ამ დასაქმებიდან შრომის ანაზღაურება (ხელფასი ან გასამრჯელო), რომელიც უნდა მიგეღოთ გასულ სამ თვეში?

ინტერვიუერს: „ხელზე ასაღები თანხა“ არის მომუშავესათვის წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმებით ნაგულისხმები ხელფასი (ამ ხელფასთან დაკავშირებული ყველანაირი გადასახადების გამოკლებით).
 „ფაქტიურად მიღებული თანხა“ არის კონკრეტულ თვეში მომუშავესათვის ფაქტიურად მიღებული ხელფასი.
 იმ შემთხვევაში თუ ხელფასი სრულად გაიცა, ორივე გრაფაში ([1] და [2] გრაფაში) ერთი და იგივე რიცხვი უნდა ჩაიწეროს.

	ხელზე ასაღები თანხა (ლარი)	ფაქტიურად მიღებული თანხა (ლარი)
	[1]	[2]
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)		
ორი თვის წინ		
სამი თვის წინ		

9. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი იყო ამ დასაქმებიდან სხვა სახის ანაზღაურება (პრემია, საჩუქრები, ერთჯერადი დახმარებები) გასულ სამ თვეში? (ნატურაში მიღებული შეფასებით მიახლოებით)

	ფაქტიურად მიღებული სხვა სახის ანაზღაურება (ლარი)	
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)		→11
ორი თვის წინ		
სამი თვის წინ		

10. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი იყო ამ საქმიანობიდან მოგების თქვენი წილი გასულ სამ თვეში (პროფესიული საქმიანობის შემთხვევაში - თვიური გასამრჯელო ან ჰონორარი)? (ნატურით მიღებული შემოსავალი შეაფასეთ მიახლოებით)

ინტერვიუერს: საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტს განუმარტეთ, რომ: მოგება არის თვითდასაქმებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლებისა და ამ შემოსავლებთან დაკავშირებული ხარჯების და გადასახადების სხვაობა.

	გამომუშავებული მოგება (ლარი)	ფაქტიურად ხელზე მიღებული(ლარი)
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)		
ორი თვის წინ		
სამი თვის წინ		

ბ) სხვა (დამატებითი) საქმიანობა

11. გთხოვთ გვიპასუხოთ, ასრულებდით თუ არა გასული სამი თვის რომელიმე პერიოდში ძირითად საქმიანობასთან ერთად რაიმე სხვა სამუშაოს ხელფასის, მოგების ან სხვა შრომითი შემოსავლების (ფულადი სახით ან ნატურით შემდგომში საკუთარი მოხმარებისათვის ან გასაყიდად) მისაღებად, ქვეყნის ფარგლებს შიგნით?

ინტერვიუერს: დამატებითი დასაქმების კითხვისას რესპონდენტს უნდა შეახსენოთ, ხომ არ საქმიანობდა 1-3 კითხვებში დასახელებულთაგან ერთ-ერთის მიხედვით მაინც.

1. დიახ → გააგრძელეთ
 2. არა → 17

12. გთხოვთ გვიპასუხოთ, რა სახის საქონელი ან მომსახურება იწარმოება თქვენს მეორად სამუშაოზე (საქმეში) სადაც თქვენ საქმიანობდით გასულ სამ თვეში?

ინტერვიუერს: გამოარკვეით ამ სამუშაოზე (საკუთარ საქმეში) კონკრეტულად რისი წარმოება, გადამუშავება, საქონელის ან მომსახურების მიწოდება ხდება, მისი საწარმოს, სამსახურის, ან პირადად რესპონდენტის მიერ.

საქმიანობის სახე (ივსება სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში)	
--	--

13. დაასახელეთ რომელია გასულ სამ თვეში თქვენი მეორადი დასაქმების სახე ქვემოთჩამოთვლილთაგან:

1. წერილობითი ან სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრულ ხელფასზე (ფულადი ან ნატურით) მომუშავე პირი	→14
2. საკუთარ საწარმოში მომუშავე მეწარმე, მეურნე (დაქირავებული მუშაკებით)	
3. არასასოფლო-სამეურნეო სფეროში დაქირავებული მუშახელის გარეშე საქმიანობა: საქონლის წარმოება, ვაჭრობა, სატრანსპორტო მომსახურება, მშენებლობა, ხელოსნობა, რემონტი; ან: პროფესიული საქმიანობა (რეპეტიტორობა, სამედიცინო დიაგნოსტიკა, კონსულტაციები და მკურნალობა, იურიდიული ან აუდიტორული მომსახურება, კერვა, პარიკმახერობა, სხვა მომსახურებები)	
4. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა საკუთარ მეურნეობაში ან იჯარით აღებულ მიწაზე ან მეცხოველეობა-მეფრინველეობის სახით (დაქირავებული მუშახელის გარეშე)	→16
5. ოჯახურ საწარმოში ან ახლობლისთვის შრომით საქმიანობაში უსასყიდლოდ მომუშავე;	→14
6. სხვა (დაასახელეთ) -----	

14. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი იყო ამ დასაქმებიდან შრომის ანაზღაურება (ხელფასი, რომელიც უნდა მიგეღოთ) ან საკუთარი საქმიდან მოგება (მთლიან შემოსავალს მინუს ხარჯები) გასულ სამ თვეში? (ლარი)

	ხელზე ასაღები თანხა (ლარი)	ფაქტიურად მიღებული თანხა (ლარი)
	[1]	[2]
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)		
ორი თვის წინ		
სამი თვის წინ		

15. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი იყო ამ დასაქმებიდან სხვა სახის ანაზღაურება (პრემია, საჩუქრები, დახმარებები, ნატურაში მიღებული შეაფასეთ მიახლოებით) გასულ სამ თვეში?

	ფაქტიურად მიღებული სხვა სახის ანაზღაურება (ლარი)
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)	
ორი თვის წინ	
სამი თვის წინ	

16. გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ გარდა ზემოთდასახელებული საქმიანობისა, გქონდათ სხვა შემთხვევითი, ერთჯერადი ან რეგულარული სამუშაო, რამდენი ლარი იყო ამ საქმიანობებიდან ხელფასი, მოგება ან სხვა შემოსავალი გასულ სამ თვეში?

	ხელფასი, მოგება ან სხვა შემოსავლები ყველა სხვა საქმიანობიდან (ლარი)
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)	
ორი თვის წინ	
სამი თვის წინ	

17. გთხოვთ გვიპასუხოთ, ასრულებდით თუ არა რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს გასულ სამ თვეში საქართველოს ფარგლებს გარეთ?

1. დიახ → გააგრძელეთ
2. არა → დაასრულეთ ინტერვიუ

17.ა. გთხოვთ გვიპასუხოთ, რამდენი ლარი იყო ამ დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი გასულ სამ თვეში?

	ხელფასი, მოგება ან სხვა შემოსავლები ყველა სხვა საქმიანობიდან ფულადი ან ნატურის სახით (ლარი)
გასულ თვეში (გამოკითხვის თვის წინა თვეში)	
ორი თვის წინ	
სამი თვის წინ	

გმადლობთ თანამშრომლობისათვის!

56. ინტერვიუერის სუბიექტური შეფასება:
რამდენად სანდოა რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია?

1. ინფორმაცია სანდოა
2. ინფორმაცია მეტნაკლებად სანდოა
3. ინფორმაცია ნაკლებად სანდოა
4. ინფორმაცია სანდო არ არის

ინტერვიუერების კომენტარებისათვის
